ჩაწერეთ ციფრებით რიცხვი **სამოცდასამი ათას შვიდი.**

**დავალება 1 - 25**

პასუხი: ჩაწერე ციფრებით

---

რამდენი გრამია ნახევარი კილოგრამი?

**დავალება 2 - 25**

პასუხი: ჩაწერე ციფრებით გრამი.

---

წახატზე მოცემულია მართკუთხედი და ორი სახაზავი. მარჯვნივ ჩამოთვლილ სიდიდეთაგან რომელი გვიჩვენებს, რამდენი მილიმეტრით მეტია ამ მართკუთხედის სიგრძე სიგანეზე?




**დავალება 3 - 25**

პასუხი:

- 10 მმ;
- 16 მმ;
- 24 მმ;
- 26 მმ.

---

ქეთიმ, გვანცამ, სანდრომ და ვაჟამ უღელტეხილამდე მისასვლელად ჯერ მინდორი უნდა გაიარონ, შემდეგ ტყე, ბოლოს კი მთის ფერდობი. ცხრილში მოცემულია, რა დრო დასჭირდა თითოეულ მათგანს მინდვრის, ტყისა და მთის ფერდობის გასავლელად.

| | ქეთი | გვანცა | სანდრო | ვაჟა |
|---|---|---|---|---|
| მინდორი | 35 წთ | 30 წთ | 35 წთ | 35 წთ |
| ტყე | 45 წთ | 50 წთ | 40 წთ | 45 წთ |
| მთის ფერდობი | 55 წთ | 45 წთ | 55 წთ | 50 წთ |

რომელს დასჭირდა ყველაზე ნაკლები დრო უღელტეხილამდე მისასვლელად?

**დავალება 4 - 25**

პასუხი:

- ქეთის;
- გვანცას;
- სანდროს;
- ვაჟას.

---

ოთხმა ბავშვმა 24 ვაშლი თანაბრად გაიწაწილა. რამდენი ვაშლი შეხვდებოდა თითოეულ ბავშვს?

**დავალება 5 - 25**

პასუხი: ჩაწერე ციფრებით

---

მართკუთხედის პერიმეტრი 20 სანტიმეტრია. რამდენი სანტიმეტრია ამ მართკუთხედის სიგრძე, თუ სიგანე 4 სანტიმეტრია?

**დავალება 6 - 25**

პასუხი: ჩაწერე ციფრებით სმ.

---

ვაგონში 3010 ყუთია. თითოეულ ყუთში 70 რვეულია. სულ რამდენი რვეულია ამ ვაგონში?

**დავალება 7 - 25**

პასუხი: ჩაწერე ციფრებით

---

LIVEWORKSHEETS

**დავალება 8 - 25**

დაფაზე დაწერილი რიცხვები გაანაწილე ცხრილში.




პასუხი:

| იყოფა | რიცხვები | | |
|---|---|---|---|
| 3-ზე | | | |
| 4-ზე | | | |

**დავალება 9 - 25**

რომელი რიცხვი შეესაბამება რიცხვთა სხივზე A წერტილს?




პასუხი: ჩაწერე ციფრებით

**დავალება 10 - 25**

რომელი ფიგურაა ნახაზზე მოცემული ორი კვადრატის საერთო ნაწილი?



პასუხი:

- ◯ სამკუთხედი;
- ◯ ოთხკუთხედი;
- ◯ ხუთკუთხედი;
- ◯ ექვსკუთხედი.

**დავალება 11 - 25**

რიცხვი სათანრიგო შესაკრებების ჯამის სახით ასეა წარმოდგენილი:

$8 \cdot 1000 + 4 \cdot 100 + 9 \cdot 10$

ჩამოთვლილ სათანრიგო შესაკრებების ჯამის სახით წარმოდგენილ რიცხვთაგან რომელია მოცემული რიცხვის წინა რიცხვი?

პასუხი:

- ◯ $8 \cdot 1000 + 4 \cdot 100 + 8 \cdot 10 + 9$
- ◯ $8 \cdot 1000 + 4 \cdot 100 + 9 \cdot 10 + 1$
- ◯ $8 \cdot 1000 + 4 \cdot 100 + 8 \cdot 10$
- ◯ $7 \cdot 1000 + 4 \cdot 100 + 9 \cdot 10$

**დავალება 13 - 25**

მოცემული ფიგურებიდან რომელია სამკუთხა პირამიდა?




პასუხი:

- ◯ 1
- ◯ 2
- ◯ 3
- ◯ 4

LIVEWORKSHEETS

მოსწავლეები გამოკითხეს იმის გასარკვევად, თუ რომელი ნაყინი უყვართ მათ ყველაზე მეტად. ცხრილში მოცემულია 11 მოსწავლის გამოკითხვის შედეგები:

| ნაყინი | მოსწავლეთა რაოდენობა |
|---|---|
| მარწყვის |  |
| ნაღების |  |

ქვემოთ ეს მონაცემები წარმოდგენილია შესაბამისი პიქტოგრამით:

| ნაყინი | მოსწავლეთა რაოდენობა |
|---|---|
| მარწყვის |  |
| ნაღების |  |

რამდენ მოსწავლეს აღნიშნავს 1 ცალი  ?

**დავალება 12 - 25**

პასუხი: ჩაწერე ციფრებით მოსწავლე.

---

(120+104) · 5=

**დავალება 14 - 25**

პასუხი: ჩაწერე ციფრებით

---

სქემაზე მოცემულია სკოლიდან ბიბლიოთეკაში მისასვლელი რამდენიმე გზა. რის ტოლია ამ გზებიდან უმოკლესი გზის სიგრძე?




**დავალება 15 - 25**

პასუხი: ჩაწერე ციფრებით მეტრი.

---

სვეტოვან დიაგრამაზე მოცემულია სპორტულ მაღაზიაში დღის განმავლობაში გაყიდული წითელი, ლურჯი და ყვითელი ფერის ბურთების რაოდენობა. ცნობილია, რომ დღის განმავლობაში 6 ცალი ყვითელი ბურთი გაიყიდა. რამდენი წითელი ბურთი გაიყიდა დღის განმავლობაში მაღაზიაში?




**დავალება 16 - 25**

პასუხი: ჩაწერე ციფრებით წითელი ბურთი.

LIVEWORKSHEETS

დავალება 17 - 25

კვადრატი გაყოფილია ორ ტოლ მართკუთხედად, რომლის ნაწილიც გამუქებულია. კვადრატის რა ნაწილია გამუქებული?



პასუხი:

- ნახევარი;
- მესამედი;
- მეოთხედი;
- მეხუთედი.

დავალება 18 - 25

რის ტოლია 27-ის 12-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი?

პასუხი: ჩაწერე ციფრებით -ის.

დავალება 19 - 25

რამდენი წიბოს საერთო წერტილია ოთხკუთხა პრიზმის ერთი წვერო?

პასუხი: ჩაწერე ციფრებით წიბოს.

დავალება 20 - 25

ცარიელ უჯრაში ჩაწერე შესაბამისი რიცხვი.

2 მ 7 დმ = □სმ

პასუხი: ჩაწერე ციფრებით სმ.

დავალება 21 - 25

სალომემ რამდენიმე რიცხვი დაწერა. ნიკამ სალომეს დაწერილი რიცხვებიდან რაღაც წესით ახალი რიცხვები მიიღო:

| სალომეს რიცხვები | | ნიკას რიცხვები |
|---|---|---|
| 1 | → | 3 |
| 3 | → | 7 |
| 4 | → | 9 |
| 7 | → | 15 |

რომელ წესს იყენებდა ნიკა?

პასუხი:

- სალომეს დაწერილ რიცხვს ამრავლებდა 3-ზე და მიღებულ შედეგს აკლებდა 2-ს;
- სალომეს დაწერილ რიცხვს ამრავლებდა 3-ზე და მიღებულ შედეგს უმატებდა 2-ს;
- სალომეს დაწერილ რიცხვს ამრავლებდა 2-ზე და მიღებულ შედეგს უმატებდა 1-ს;
- სალომეს დაწერილ რიცხვს ამრავლებდა 2-ზე და მიღებულ შედეგს აკლებდა 1-ს.

დავალება 22 - 25

საახალწლო კონცერტი 18 საათსა და 30 წუთზე დაიწყო და 1 სთ და 45 წთ გაგრძელდა. რომელ საათზე დამთავრებულა კონცერტი?

პასუხი:

- 20 საათსა და 15 წუთზე;
- 20 საათსა და 45 წუთზე;
- 19 საათსა და 15 წუთზე;
- 19 საათსა და 45 წუთზე.

დავალება 24 - 25

ჯგუფმა ლაშქრობისას გაიარა 7 კილომეტრი და 85 მეტრი. სულ რამდენი მეტრი გაიარა ამ ჯგუფმა?

პასუხი: ჩაწერე ციფრებით მეტრი.

LIVEWORKSHEETS

დიაგრამაზე გამოსახულია ბაღში სხვადასხვა ხის რაოდენობები. ჩამოთვლილთაგან რომელი პასუხია სწორი?




დავალება 23 - 25

პასუხი:

- ◯ ბაღში ხეების ნახევარი ვაშლისაა;
- ◯ ბაღში ხეების ნახევარი ატმისაა;
- ◯ ბაღში ხეების ნახევარზე მეტი მსხლისაა;
- ◯ ბაღში ვაშლის ხეები ნახევარზე მეტია.

---

რა რიცხვი უნდა ეწეროს მარცხნიდან პირველ წრეში?




დავალება 25 - 25

პასუხი: ჩაწერე ციფრებით

---

ნახატზე მოცემულია პატარა კუბიკები და მათგან შედგენილი სვეტები, კედლები და დიდი კუბები. თითოეული სვეტი 10 კუბიკისაგან შედგება, კედელი – 100 კუბიკისაგან, ხოლო დიდი კუბი – 1000 კუბიკისაგან. სულ რამდენი პატარა კუბიკია მოცემული ნახატზე?



დავალება 1 - 25

პასუხი: ჩაწერე ციფრებით

---

რამდენი სანტიმეტრია ნახევარი მეტრი?

დავალება 2 - 25

პასუხი: ჩაწერე ციფრებით სანტიმეტრი

---

ოთახში ოთხი ბავშვია: აკაკი, თამარი, რევაზი და ნინო. აკაკი რევაზზე მაღალი, მაგრამ ნინოზე დაბალია. თამარი უფრო დაბალია, ვიდრე – რევაზი. ამ ბავშვებიდან რომელია ყველაზე მაღალი?

დავალება 3 - 25

პასუხი:

- ◯ აკაკი;
- ◯ თამარი;
- ◯ რევაზი;
- ◯ ნინო.

---

84 - 56 : 7

დავალება 6 - 25

პასუხი: ჩაწერე ციფრებით

LIVEWORKSHEETS

დავალება 4 - 25

რომელი ციფრი უნდა ჩავწეროთ ცარიელ უჯრაში, რომ სწორი ტოლობა მივიღოთ?

$$\begin{array}{r} 8\square9 \\ -\ 352 \\ \hline 487 \end{array}$$

პასუხი: ჩაწერე ციფრებით

დავალება 5 - 25

მოცემული მართკუთხედი დაყოფილია 2 კვადრატად. რის ტოლია მოცემული მართკუთხედის პერიმეტრი, თუ დაყოფის შედეგად მიღებული თითოეული კვადრატის გვერდის სიგრძე 6 სმ-ია?



პასუხი: ჩაწერე ციფრებით სმ.

დავალება 7 - 25

თეამ გვარები: მაღრაძე, შეწგელია, ზერიძე და შერმადიწი ანბანის მიხედვით ჩამოწერა. ვინ იქნება თეას სიაში **მესამე?**




პასუხი:

- მაღრაძე;
- შეწგელია;
- ზერიძე;
- შერმადიწი.

დავალება 8 - 25

რა რიცხვი უნდა ეწეროს ცარიელ უჯრაში, რომ მივიღოთ სწორი ტოლობა?

$687 + 24 + 40 = \square + 687$

პასუხი: ჩაწერე ციფრებით

დავალება 9 - 25

ტოლუჯრედებიან ფურცელზე A და B წერტილები 1, 2 და 3 ტეხილებითაა შეერთებული (იხ. ნახაზი). ჩაწერეთ იმ ტეხილის ნომერი, რომლის სიგრძე ყველაზე ნაკლებია.




პასუხი: ჩაწერე ციფრებით

დავალება 10 - 25

ხუთნიშნა რიცხვში 75391 უნდა წავშალოთ ერთი ციფრი ისე, რომ ამ ციფრის წაშლით მიღებული ოთხნიშნა რიცხვი იყოს უდიდესი. რომელი ციფრი უნდა წავშალოთ?

პასუხი: ჩაწერე ციფრებით

LIVEWORKSHEETS

დავალება 10 - 25

ხუთნიშნა რიცხვში 75391 უნდა წავშალოთ ერთი ციფრი ისე, რომ ამ ციფრის წაშლით მიღებული ოთხნიშნა რიცხვი იყოს უდიდესი. რომელი ციფრი უნდა წავშალოთ?

პასუხი: ჩაწერე ციფრებით

დავალება 11 - 25

ცხრილში მოცემულია ერთ-ერთ ზოოპარკში ცხოველების რაოდენობა სახეობების მიხედვით:

| ცხოველთა სახეობა | ძუძუმწოვრები | ფრინველები | რეპტილიები |
|---|---|---|---|
| რაოდენობა | 35 | 50 | 15 |

რომელ დიაგრამაზეა ეს მონაცემები სწორად წარმოდგენილი:

პასუხი:













დავალება 12 - 25

რამდენი წახნაგი აქვს ნახატზე მოცემულ პრიზმას?



პასუხი: ჩაწერე ციფრებით

დავალება 13 - 25

2448 : 24=

პასუხი: ჩაწერე ციფრებით

LIVEWORKSHEETS

დავალება 14 - 25

თუ ერთ შესაკრებს გავადიდებთ 7-ით, ხოლო მეორეს შევამცირებთ 5-ით, მაშინ ჯამი:

პასუხი:

- ◯ გადიდდება 2-ით;
- ◯ გადიდდება 12-ით;
- ◯ შემცირდება 2-ით;
- ◯ შემცირდება 12-ით.

დავალება 15 - 25

ლაშა ქუთაისიდან ფოთში მოტოციკლით ჩავიდა და გაიარა 107 კმ. სენაკიდან ფოთამდე 38 კმ-ია. ნახაზზე მოცემული სქემის მიხედვით გაარკვიეთ ქუთაისიდან სენაკამდე გზის სიგრძე.




პასუხი:

- ◯ 107 კმ;
- ◯ 69 კმ;
- ◯ 70 კმ;
- ◯ 38 კმ.

დავალება 16 - 25

რა რიცხვია 53 447-ის უახლოესი ასეული?

პასუხი:

- ◯ 53 000
- ◯ 53 400
- ◯ 53 500
- ◯ 54 000

დავალება 17 - 25

სვეტოვან დიაგრამაზე მოცემულია, თუ როგორ იცვლებოდა სალომეს წონა წლოვანების მიხედვით. რამდენი კილოგრამით გაიზარდა სალომეს წონა 5 წლიდან 12 წლამდე პერიოდში?




პასუხი: ჩაწერე ციფრებით კილოგრამით

დავალება 18 - 25

რა რიცხვი უნდა ჩავწეროთ ცარიელ უჯრაში, რომ სწორი ტოლობა მივიღოთ?

$\square : 15 = 6$ (ნაშთი7)

პასუხი: ჩაწერე ციფრებით

LIVEWORKSHEETS

სქემის მიხედვით რამდენი განსხვავებული გზით შეიძლება A-დან B პუნქტამდე მისვლა?




**დავალება 19 - 25**

პასუხი:

- 1 გზით;
- 2 გზით;
- 3 გზით;
- 4 გზით.

---

სამ დიდ და ერთ პატარა თაროზე სულ 96 წიგნი აწყვია. დიდ თაროებზე დაწყობილი წიგნების რაოდენობები ერთმანეთის ტოლია. ჩამოთვლილთაგან რომელი გამოსახულება გვიჩვენებს, თუ რამდენი წიგნია თითოეულ დიდ თაროზე, თუ პატარა თაროზე 15 წიგნია?

**დავალება 20 - 25**

პასუხი:

- 96-15:3
- (96+15):3
- (96-15):3
- 96:3-15

---

მასწავლებელმა კლასის ყველა მოსწავლე გამოკითხა, თუ ვის რომელი ხილი უყვარდა ყველაზე მეტად. შედეგები ცხრილშია წარმოდგენილი (✦ = 3 მოსწავლეს):

| ხილი | მოსწავლეების რაოდენობა |
|---|---|
| ვაშლი | ✦ ✦ ✦ |
| მსხალი | ✦ ✦ |
| ბანანი | ✦ |
| ატამი | ✦ |
| მანდარინი | ✦ ✦ ✦ |

სულ რამდენი მოსწავლეა კლასში?

**დავალება 21 - 25**

პასუხი: ჩაწერე ციფრებით მოსწავლე

---

მარჯვნივ ჩამოთვლილთაგან რომელ შემთხვევაშია დალაგებული რიცხვები ზრდის მიხედვით?

**დავალება 22 - 25**

პასუხი:

- 1989, 1910, 2189, 2198
- 1989, 2189, 2198, 1910
- 1910, 1989, 2189, 2198
- 1910, 1989, 2198, 2189

LIVEWORKSHEETS